პროლეტარნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო.

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი, 17 ოქტომბერი 1935 წ. № 242 (4398)

დღის ნომერში

— გამარჯვებული ხალხის არმია „პრავდის" მოწინავე
— სსრ კავშირის მრეწველობის ყველა მუშას, ოსტატს, ტექნიკოსს, ინჟინერსა და სამეურნეო მუშაკს
— სტახანოველთა მოძრაობა ტიფლისში
— საქართველოს სოფლის მეურნეთა [illegible] კრება
— მდგომარეობა აბისინიის ფრონტზე
— იტალიის ფერად კანიანი ჯარები აქსუმს მიადგნენ
— იტალიის საწინააღმდეგო ფინანსიური სანქციების პროგრამა

გამარჯვებული ხალხის არმია

„პრავდის" მოწინავე, 18-IX

წითელი არმიის ნაწილები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ კიევის მაღლობლად გამართულ საოლქო მანევრებში, გუშინ საზეიმო მარშით შევიდნენ უკრაინის დედაქალაქში. მოსახლეობა, რომლის თვალწინაც მანევრები სწარმოებდა, არაჩვეულებრივი აღფრთოვანებითა და ენტუზიაზმით ხვდებოდა ჯარებს. მანევრებში მონაწილე ჯარის გზა მთლად ყვავილებით იყო მოფენილი, ამ სიტყვის თითქმის ზედმიწევნითი მნიშვნელობით. ზარბაზნების გრიალსა და მოტორების ხმაურს უერთდებოდა ხმამაღალი მისალმება მუშათა და კოლმეურნეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფებისა, რომლებიც უდიდესი ინტერესითა და აღფრთოვანებით ადევნებდნენ თვალყურს საბრძოლო მოქმედებას.

მაგრამ იმ შეხვედრამ, რომელიც მეომრებს კიევში მოელოდა, ყოველივეს გადააჭარბა. მუშურ-გლეხური უკრაინის დედაქალაქი წითელ არმიას შეეგება ისე, როგორც გამარჯვებულებს ეგებებიან. მთელი კიევი დიდით პატარამდე მოეფინა მოედნებსა და ქუჩებს, რათა მიესალმებოდა ხალხის ბურჯს, მშვიდობიანობის დამცველს, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის გუშაგს—უძლეველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას.

მანევრებმა ბრწყინვალედ ჩაიარა. თავდაცვის სახალხო კომისარმა ამხ. კ. ე. ვოროშილოვმა, რომელიც პირადად დაესწრო მანევრებს, წარჩინებულად ჩასთვალა ჯარების მოქმედება და ყველა უაღრესად რთული ოპერაციის ორგანიზაცია.

მანევრებმა ცხადჰყო, რომ წითელი არმიის მეომრები და მეთაურები წარმატებით ასრულებენ ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის, ამხანაგ სტალინის მითითებას—დაეუფლონ სამხედრო საქმის ტექნიკას მის საშუალებათა მთელი მრავალფეროვნებითა და მისი საბრძოლო გამოყენების მთელი სირთულით. მანევრებმა ცხადჰყო გამარჯვების უდიდესი ნებისყოფა, რომლითაც აღფრთოვანებული არიან წითელარმიელთა მასები. მანევრებმა დაგვანახა, თუ რა გიგანტურად გაზრდილა უკანასკნელ დროს წითელი არმიის ტექნიკური ძლიერება, მის მეომართა გაწრთვნილობა და მის მეთაურთა გამოცდილება. ჭეშმარიტად, იგი არ ჰკარგავს არც ერთ დღეს, არც ერთ საათს და აუმჯობესებს თავის საბრძოლო თვისებებს, რათა არა სიტყვით, არამედ საქმით გაამართლოს უძლეველი არმიის სახელწოდება, რომლითაც იგი ხალხმა დააჯილდოვა.

კიევის მანევრების ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ამ მანევრებმა ცხადჰყო არა მარტო ჯარის სხვადასხვა გვარეობათა წარჩინებული მოქმედება ცალცალკე, არამედ ჩვენი მეთაურების შესანიშნავი უნარიც — ჯარის ყველა გვარეობის საბრძოლო ძლიერების შეხამება ერთ საერთო გამანადგურებელ ლახვრად. თანამედროვე შეიარაღების უდიდესი მრავალფეროვნებისა და თანამედროვე ბრძოლის გაძღოლის განსაკუთრებული სირთულის დროს ეს ამოცანა წარმოადგენს ერთერ ყველაზე ძნელ ამოცანას სამხედრო საქმეში. ჩვენი მეთაურები უდიდესი შეუპოვრობით მუშაობენ ამ ამოცანის გადაჭრისათვის და, როგორც სჩანს, არა უშედეგოდ.

ძნელია იმის თქმა, თუ ჩვენი ჯარების რომელმა გვარეობამ გვიჩვენა მანევრებზე უკეთესი გაწვრთნილობა და მეტი გამოცდილება. ჯარის ყველა გვარეობა საუცხოოდ მოქმედებდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებით დიდი ოსტატობა, რომელიც მექანიზებულმა და საავიაციო ნაწილებმა გამოიჩინეს. ამ ნაწილებმა, რომლებშიაც ჩაქსოვილია ძლევამოსილი სტალინური ინდუსტრიალიზაციის უდიდესი ძალა, გამოიჩინეს განსაკუთრებული მკაფიობა, სწრაფი მოსაზრების უდიდესი უნარი, ელვისებური სისწრაფე, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რასაც ჩვენ მათგან მოველით. ტანკების მსხვილი შენაერთები უდიდეს მანძილებზე გადადიოდნენ, სწრაფი იერიშები მიჰქონდათ და სძლევდნენ ისეთ დაბრკოლებებს, რომელთა გადალახვაც თითქოს შეუძლებელიც იყო. ავიაციამ გვიჩვენა საიერიშო ოპერაციების, საჰაერო დაზვერვის საუცხოო ორგანიზაცია, დაბოლოს მშვენიერი ორგანიზაცია საჰაერო დესანტისა, რომლის მასშტაბი, სისწრაფე და შეთანხმებულობა განსაცვიფრებელი იყო. ქვეითა ნაწილები, კავალერია და არტილერია თავისი საბრძოლო მუშაობის უნაკლოებით არ ჩამორჩებოდნენ მექანიზებულ და საავიაციო ნაწილებს. ფიზიკური ამტანობა, გაკაჟებული სული, ტექნიკის თანამედროვე საშუალებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაწევის უნარი, რაც ქვეითებმა, კავალერისტებმა და არტილერისტებმა გამოიჩინეს, წითელი არმიის შეხაფერ დონეზე დგას.

კიევის მანევრებმა ცხადჰყო წითელი არმიის მრისხანე ძლიერება, რაც სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს ყველასათვის, ვინც შეეცდება დაარღვიოს დიადი საბჭოთა კავშირის მთლიანობა და დამოუკიდებლობა. ამასთან ერთად მთელი ის ვითარება, რომელშიაც მანევრები სწარმოებდა, ხაზგასმით აღნიშნავს იმ მიზნების მშვიდობიან ხასიათს, რომლებსაც წითელი არმია ემსახურება. იმ დროს, როცა ნიურნბერგის ჯუ-რის მხეცური შოვინიზმით მოშხამული ზოგიერთი ბურჟუაზიული სახელმწიფოს სამხედრო მანევრები ხაზგასმით მიმართულია სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, ჩვენი მანევრები,— როგორც ეს კიევის მანევრების მთავარმა ხელმძღვანელმა ამხ. იაკირმა ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთისა და იტალიის სამხედრო დელეგაციებისადმი მიმართულ სიტყვაში აღნიშნა,—არ ისახავს მიზნად დემონსტრაციას რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ, არამედ მას ერთადერთი მიზანი აქვს —შეამოწმოს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნაწილების მზადყოფნა ჩვენი საზღვრების დასაცავად და ჩვენი მშვიდობიანი მშენებლობის უზრუნველსაყოფად.

წითელი არმიის ძლიერება მდგომარეობს არა მარტო მისი ტექნიკის სიმძლავრეში, არა მარტო მისი კადრების გაბედულებასა, დისციპლინირებასა და გაწრთვნილობაში, არამედ ხალხთან მის განუყრელ ერთიანობაშიაც. კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა მაგალითი, რომ ხალხს ისე მხურვალედ ჰყვარებოდა თავისი არმია, როგორც ჩვენს ხალხს უყვარს წითელი არმია. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან მსოფლიოში არსებული ყველა ბურჟუაზიული არმია ემსახურება არა ხალხს, არამედ მის მტრებს, და მხოლოდ წითელი არმია არის თავისი ხალხის ინტერესების განუსაზღვრელად ერთგული, იგი არის მისი განუყრელი ნაწილი, იგი არის მისი იმედი და ბურჯი.

ჩვენს ქვეყანაში ყველაზე საპატიო სახელწოდებიდან ყველაზე უფრო საპატიო არის წითელარმიელის სახელწოდება, ვინაიდან მასში თავმოყრილია ჩვენი ხალხის ყველაზე ძვირფასი თვისებანი: სოციალისტური რევოლუციის საქმის უდიდესი ერთგულება, უსაზღვრო თავგანწირულება ამ საქმისთვის სამსახურში, თავისი დიადი სამშობლოთი სიამაყის მაღალი გრძნობა, ყველა დიდი და პატარა ერის ნაციონალური ღირსების პატივისცემა, ღვთაებრივი სიძულვილი ყოველგვარი ჩაგვრისა, ყველა ექსპლოატატორისა და დამმონებლისადმი.

ფაშისტები ცდილობენ მხეცური შოვინიზმის შხამი შთაუნერგონ თავიანთი არმიების ჯარისკაცებს, ასწავლიან მათ ფეხქვეშ გასთელონ სხვა ხალხთა ნაციონალური ღირსება და ამასთან ერთად თავისი ნაციონალური ღირსებაც, ისინი უნერგავენ მათ ექსპლოატატორებისადმი ბრმა, ძაღლური მორჩილების გრძნობას, სტეხენ და ასახიჩრებენ ხალხის შვილთა ნორჩ სულს და აიძულებენ მათ ემსახურონ თავიანთ მტრებს. ამ შავბნელი საშუალო საუკუნეობრიობისა და კაცთმოძულეობის ფონზე კიდევ უფრო მაღალი მოსჩანს ჩვენი წითელარმიელის, როგორც ჩვენი საუკუნის ყველაზე მოწინავე, ყველაზე კულტურული იდეის მატარებლის, მძლავრი ფიგურა.

აი რატომ არის, რომ ჩვენს ხალხს ასე უსაზღვროდ უყვარს თავისი წითელი არმია, აი რატომ არის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა ისწრაფვის წითელი არმიის რიგებისაკენ, აი რატომ არის, რომ იგი ასე აღფრთოვანებით იღებს ხელში საბრძოლო იარაღს და სწავლობს მის ხმარებას. იგი ამას სჩადის თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ყველა მშრომელის კეთილდღეობის გულისათვის.

მთელი ჩვენი დიადი ხალხი თავის მძლავრ ხმას უერთებს იმ სადღეგრძელოს ცეცხლოვან სიტყვებს, რომელიც წითელი არმიის მიმართ წარმოსთქვა მისმა დიდმა მეგობარმა, რევოლუციის პირველმა სტრატეგმა და ჩვენი გამარჯვებების უდიდესმა ორგანიზატორმა ამხანაგმა სტალინმა:

მეომართა დღეგრძელობისათვის! ვაჟკაცთა და გაბედულთა დღეგრძელობისათვის! ყოველი გვარეობის იარაღის მეომართა დღეგრძელობისათვის! ჩვენი მამაცი მფრინავებისათვის! ეს ჩვენი არმიის ამაყი შევარდნები არიან. ჩვენი წყალქვეშა ნავების წითელფლოტელებისათვის— მათი მუშაობა უდიდეს საფრთხესთან არის დაკავშირებული. ჩვენი ქვეითა მეომრებისათვის ისინი ხშირად შეუმჩნეველნი არიან, მაგრამ ყოველთვის განამტკიცებენ გამარჯვებას. ჩვენი კავალერისტებისათვის. ჩვენი არტილერისტებისათვის. ჩვენი სახელოვანი და მამაცი ტანკისტებისათვის ყველა ბოლშევიკისათვის პარტიულსა და არაპარტიულისათვის.

„კომუნისტის" რედაქციისაგან

„პრავდის" ზემოდ მოყვანილ 18 სექტემბრის მეთაურს ვბეჭდავთ განმეორებით: „კომუნისტი"-ს 20 სექტემბრის ნომერში მოთავსებული ეს მეთაური დაიბეჭდა დამახინჯებულად მთავლიტის რწმუნებულის მიზეზით.

„პრავდის" მოწინავის დამახინჯებისათვის მთავლიტის რწმუნებული ამხ. ომაროვს საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. მიერ გამოეცხადა სასტიკი საყვედური და ის მოიხსნა სამუშაოდან. „კომუნისტი"-ს ღამის მორიგე რედაქტორს ამხ. ა.კ. ჰოჰუას გამოეცხადა საყვედური.

მდგომარეობა აბისინიის ფრონტებზე

ლონდონი, 15 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტი ათავსებს აბისინიის ფრონტების მდგომარეობის მიმოხილვას და აღნიშნავს, რომ სამხრეთით იტალიის ჯარები გენერალ გრაციანის სარდლობით უტევენ ინგლისის სომალის საზღვართან. მათ წაიწიეს იმ ხაზამდე, რომელიც გაჭიმულია ბოხოტლების აღმოსავლეთიდან (ბრიტანეთის სომალი) სამხრეთდასავლეთისაკენ კაბრინის, ბერიდალების და მოსარის პუნქტებამდე. იტალიის ჯარები ევროპელთა სამი დივიზიისა და ტრიპოლელთა ორი დივიზიისაგან შესდგებიან. მათს განკარგულებაშია 250 ტანკი. შეტევას უალუალიდან ავითარებენ. მათ წინააღმდეგ დგანან აბისინიის ჯარები, რომელთა რიცხვს 160 ათას კაცად ვარაუდობენ. ეს ჯარები როგორც ფიქრობენ, მიიწევენ სამხრეთ-დასავლეთიდან, რათა იერიში მიიტანონ იტალიის ჯარების მარცხენა ფლანგზე. რასი დესტის არმია, რომელიც 100 ათას კაცისაგან შესდგება, ქვეითა და ცხენოსან ჯარის ჩათვლით, მიიწევს მდინარე ვები შებელისაკენ და უნდა შეუერთდეს სხვა სამხრეთელი ტომების 60 ათას ჯარს გერლოგუბის მიდამოებში. აბისინიის ჯარების ამ ჯგუფში იმყოფება ბურთა პოლკოვნიკი სურვიანკა, რომელიც აბისინელთა სამხედრო მრჩევლად მუშაობს.

იტალიის ჯარების შეტევა მომზადებულ იქნა 20 თვითფრინავიდან ყუმბარის დაშენით. „იტალიის თვითმფრინავებიდან ინტენსიურ ბომბარდირებას, — სწერს კორესპონდენტი, — და გაზების გამოყენებას ის მოჰყვა, რომ დაკავებულ რაიონებში ადგილობრივი მოსახლეობა სულ გაქრა. აღნიშნავენ, რომ იტალიის თვითმფრინავებმა 350-ზე მეტი ყუმბარა ჩამოყარეს, თითო 25-დან 100 გირვანქამდე სიმძიმისა და სრულებით დაანგრიეს ქალაქი ღამოტი. აბისინიის ჯარების და მშვიდობიანი მოსახლეობის საერთო დანაკლისი 10 ათას კაცს ანგარიშობენ. ბევრი გარდაიცვალა გაზისგან მოწამვლით, როგორც ჩანს, ეს გაზი უნდა წარმოადგენდეს ქლორინის ნაირსახეობას, რომელიც ფილტვებს აზიანებს და სულის შეხუთვას იწვევს".

„დეილი-მეილის" კორესპონდენტი იუწყება, ქალაქ დამოტში ყუმბარების დაშენითა და შხამიანი გაზებით დაღუპულთა რიცხვი, მშვიდობიან მცხოვრებთა ჩათვლით, 4 ათას კაცს შეადგენს.

აბისინიის ჯარების დანაკლისი 18 ათას კაცს აღემატება. აბისინელ მეომართა საუკეთესო რეზერვები, რომელნიც თავმოყრილი არიან ხარარის, ჯიჯიგის და ტომსის ირგვლივ, ჯერ კიდევ არ შეხვედრიან იტალიელთა ჯარებს.

შვეიცარიელი ინჟინერი, რომელიც მდინარე ვები შებელის ახლოს მუშაობს, აღნიშნავს, მდინარე ჯუბის შენაკადები აბისინელთა კიდევ ერთმა დიდმა ჯარმა გადაიარა. ეს არმია სწრაფად მიიწევს მდინარე ვები შებელისაკენ, რათა შეყვიდეს იტალიის სომალში და შესწყვიტოს მიმოსვლა იტალიის მექანიზებულ ნაწილებთან, რომელნიც ოგადენში დგანან. ამ არმიის დამხმარე ძალები სამხრეთ-დასავლეთის პროვინციებიდან მიიწევენ. ამასთან დაკავშირებით მალე მოელიან დიდ ბრძოლას გერლოგუბის სამხრეთით.

რეიტერის სააგენტოს ხარარის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იტალიის თვითმფრინავები გუშინ ყუმბარებს უშენდნენ დაგა ბურს და ხარადიგიტს. ბევრი ყუმბარა არ აფეთქებულა. აბისინელთა ჰაირსაწინააღმდეგო თავდაცვა გაძლიერებულია. იტალიელთა ჯარებს გააფთრებული ბრძოლა ჰქონდათ სომალის ტომ მიაჯერტენთან, ბრიტანეთის სომალის საზღვრის ახლოს. ამასთან დონბახანტის ტომი, ბრიტანეთის სომალიდან, მიაჯერტენის ტომს შეუერთდა და მასთან ერთად გაილაშქრა იტალიის ჯარების წინააღმდეგ.

ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, რომელიც მიღებულია საღამოს, აბისინიის გენერალმა ნასიბუმ ბრძანება გასცა ოგადენის ფრონტზე გენერალური შეტევის შესახებ (ადს).

იტალიის საწინააღმდეგო ფინანსიური სანქციების პროგრამა

ჟენევა, 14 ოქტომბერი. სანქციათა მცირე კომიტეტს, 18-თა კომიტეტს დღეს ხელმეორედ ჰქონდა სხდომა, დაამტკიცა იტალიის საწინააღმდეგო ფინანსიური სან-[illegible]

[illegible]

...თვრამეტთა კომიტეტს უნდა მოასხენონ.

დისკუსიის მთავარი თემა თვრამეტთა კომიტეტში იყო შემდეგი საკითხი: როგორ მოვექცეთ ლიგის წევრთა არაწევრ სახელმწიფოებს, რომელნიც უარს ამბობენ სანქციების გამოყენებაში მონაწილეობაზე. ამ პრობლემას უდიდესი პრინციპული და პრაქტიკული მნიშვნელობა ერთხელ კიდევ აღნიშნა არგენტინის დელეგატმა თავის გამოსვლაში. მან სხდომის თავშივე განაცხადა: ჩემი ქვეყნის კონსტიტუცია ნებას არ იძლევა საფინანსო სანქციების გამოყენებისას, თუ პარლამენტის მიერ წინასწარი რატიფიკაცია არ იქნა. ამ განცხადებამ აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია; ლიტვინოვმა კომიტეტის ყურადღება მიაქცია იმას, რომ არგენტინის დელეგატის განცხადება მხოლოდ ადასტურებს იმ სა-[illegible]

[illegible]

პროგრამაში ნათქვამია:

„იმ სახელმწიფოთა მთავრობები, რომელნიც ლიგის წევრები არიან, ყოველ საჭირო ღონისძიებას იხმარენ, რათა შეუძლებელი გახადონ:

1. რაიმე სესხის მიცემა იტალიის მთავრობისათვის უშუალოდ, ან არაპირდაპირი გზით, ყოველგვარი ხელისმოწერა სესხზე, რომელიც გამოცემულია იტალიაში, ან სხვა ქვეყნებში იტალიის მთავრობის მიერ, ან იტალიის მთავრობისათვის.

2. რაიმე საბანკო ან სხვაგვარი კრედიტის მიცემა იტალიის მთავრობისათვის უშუალოდ, ან სხვისი მეშვეობით. აგრეთვე იტალიის მთავრობისათვის პირდაპირ, ან არაპირდაპირი სესხის მიცემის შესახებ არსებული ხელშეკრულების შემდგომი შესრულება ავანსით, თამასუქით, ან რაიმე სხვა საშუალებით.

[illegible]

რომელთა ძალაში შესვლასაც არ სჭირია ახალი კანონმდებლობა და გადადგან ყოველგვარი პრაქტიკული ნაბიჯი, რათა ნაჩვენები ზომები მთლიანად შევიდეს ძალაში 1935 წლის 31 ოქტომბრისთვის.

მთავრობამ, რომელიც შეუძლებლად ხსნობს ამ ვადისთვის საჭირო კანონდებულებათა გამოცემას, გენერალური მდივნის მეშვეობით უნდა აცნობოს კომიტეტს ვადა, რომლისთვისაც ის შეძლებს ამას. ყოველმა მთავრობამ უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს კომიტეტს ერთა ლიგის გენერალური მდივნის მეშვეობით ის ღონისძიებები, რომელნიც მათ იხმარეს ზემოაღნიშნული დებულებების შესაბამისად".

ამ ტექსტისათვის კენჭისყრის დროს სანქციათა დიდ კომიტეტში ავსტრიამ და უნგრეთმა თავი შეიკავეს (ადს).

10 ათასი ავადმყოფი ჯარისკაცის გაგზავნა იტალიაში

პარიზი, 15 ოქტომბერი. „ევრი" ბეჭდავს სუეციდან მიღებულ დეპეშას, რომლის თანახმად სუეცის არხით აღმოსავლეთ აფრიკიდან შინ გაიგზავნა 10 ათასი იტალიელი ჯარისკაცი. ისინი ყველანი ავად გამხდარან აფრიკაში ან მალარიით ან დიზენტერიით. (ადს).

ფრანგი ფაშისტების გეგმები

პარიზი, 14 ოქტომბერი. „ლუმანიტე" აქვეყნებს ფაშისტური ორგანიზაციის „ცეცხლის ჯვრის" საიდუმლო დოკუმენტებს, რომელნიც ადასტურებენ ფაშისტების მზადებას სამოქალაქო ომისათვის. ერთერთი დოკუმენტი ეხება ფაშისტების არალეგალური მოქმედების გეგმებს იმ შემთხვევისათვის, თუ მთავრობა გადასწყვეტს ფაშისტური ლიგების დაშლას (ადს).

იტალია - ალბანეთის სამხედრო შეთანხმება

ათინა, 14 ოქტომბერი. გაზეთები იუწყებიან იტალია - ალბანეთის მიერ საიდუმლო სამხედრო შეთანხმების ხელისმოწერას. ალბანეთი ნებასა რთავს იტალიას ააგოს სიმაგრეები ადრიატიკის ზღვის ალბანეთის სანაპიროზე ქალაქ ავლენიდან (ვალონა) ქალაქ სკოდრამდე (სკუტარი) ტირანაზე გავლით. იტალია 16 მილიონი ოქროს ფრანკს აძლევს ალბანეთს სესხად. პრესა ხაზს უსვამს, რომ ამ სიმაგრეთა მიზანია იტალიის ჰეგემონიის უზრუნველყოფა ადრიატიკის ზღვაზე. (ადს)

ადუაში ჩავიდა იტალიის ავტომობილთა კოლონა

რომი, 15 ოქტომბერი. სტეფანის სააგენტოს ცნობით, იტალიის ავტომობილთა კოლონა პირველად ჩავიდა ადუაში. ავტომობილებმა გაიარეს ადუის ოკუპაციის შემდეგ გაკეთებული გზა. (ადს).

იტალიის ფერადკანიანი ჯარები აქსუმს მიადგნენ

რომი, 15 ოქტომბერი. როგორც იტალიის წყაროებიდან იტყობინებიან, იტალიის არმიის ფერადკანიანი ჯარების მე-23 ბატალიონის მსროლელნი ქალაქ აქსუმს (ჩრდილოეთი აბისინია) მიადგნენ. ქალაქი აბისინელთა ჯარების მიერ დატოვებული იყო და იტალიელებისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

ოქრო - ვერცხლის მოგროვება იტალიაში

რომი, 14 ოქტომბერი. ტრიბუნა აცხადებს, რომ იტალია უკვე წინასწარ მოემზადა სანქციებისათვის და შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მათ. მაგრამ „ლავორო ფაშისტა" ამბობს: შესაძლოა იტალიას ძნელი განცდების გადატანა მოუხდეს". ზოგ ქალაქში გამოცხადებულია ოქრო-ვერცხლის მოგროვება მოსახლეობაში. მოქალაქეთ წინადადება ეძლევათ ჩააბარონ ეს ნივთები.

ტრამვაის მექანიკური სახელოსნოს ფრიადოსნები მარცხნიდან მარჯვნივ: კოლოშვილი, ვართანოვი, სამადაშვილი, ანთიძე.

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის ყველა მუშას, ოსტატს, ტექნიკოსს, ინჟინერსა და სამეურნეო მუშაკს

ამხანაგებო!

ორი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც გაზეთებმა და რადიომ ჩვენს სამშობლოს ამცნეს მაღაროელი ალექსი სტახანოვის გამარჯვება. მაგრამ ეს ვადა საკმარისად აღმოჩნდა იმისათვის, რომ სტახანოვთან ერთად, მის მწკრივში ჩამდგარიყვნენ ევდოკია და მარიამ ვინოგრადოვები, ტატიანა ოდინცოვა და ოლგა ფომინა, ნიკოლოზ სმეტანინი, ძივენკოვსკი, სიდოროვი, პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა, სოციალისტური შრომის ენტუზიასტთა ჯერ ერთეულები, შემდეგ ათეულები, ასეულები და ათასეულები.

ჩვენმა ბელადმა და მასწავლებელმა—ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა ტექნიკის სრული დაუფლების გზა. სოციალისტური საზოგადოების გენიალურმა სტრატეგმა და ხუროთმოძღვარმა მოუწოდა მუშათა კლასს დიადი ბრძოლისაკენ საუკეთესო მსოფლიო მაჩვენებლებისათვის. მილიონიანი არმიების დიდი მხედართმთავარი გვიჩვენებს, თუ რა და როგორ უნდა ვაკეთოთ, რომ დავეწიოთ ტექნიკურ-ეკონომიურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს.

სიამაყის გრძნობით აღსავსენი ვდგებით ჩვენ ყოველ დილას ჩვენს დაზგებთან, ვატერებთან, მანქანებთან. ჩვენ მტკიცედ და რწმენით ვმუშაობთ. ჩვენი შრომის ყოველი საათი გარდაიქმნება მილიონობით ცალ საქონლად, რომლითაც ჩვენვე, მშრომელებს, ჩვენი დიადი სამშობლოს შვილებს გვხმარდება.

ჩვენ ჩვენი დროის ერთ წუთსაც არა ვკარგავთ. ჩვენ ხომ მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღე გვაქვს. და ამ სამუშაო დღის ყოველ საათს, ყოველ წუთს ვავსებთ შეგნებული და ზუსტი მუშაობით.

აქეთ მოგიხმობთ თქვენ ამხანაგებო, მსუბუქი მრეწველობის მუშებო, ოსტატებო, ტექნიკოსებო, ინჟინრებო და სამეურნეო მუშაკებო.

სამუშაო დროის ყოველი წუთის სრულად გამოყენება, მკაფიო, რიტმიანი შრომა, ხანგრძლივი შეწყვეტის, ზედმეტი აჩქარებისა და იერიშობანის გვერდის ავლით—წარმოადგენს ჩვენი საწარმოო წარმატებების ძირითად მიზეზს.

ამხანაგ სტალინის სიტყვებმა იმაზე, რომ ტექნიკას უნდა გამოვწუროთ მაქსიმუმი იმისა, რისი გამოწურვაც კი შეიძლება მისგანო—ახლებურად შეგვახედვინა საამქროსა, აგრეგატისა, დაზგისა, მანქანისა, სამუშაო ადგილისათვის. აღმოჩნდა, რომ თურმე მეტად არაორგანიზებულად ვმუშაობთ, ხომ არ შეიძლება წყალს ცხრილით ეზიდებოდე. ჩვენი სამუშაო დღე კი ხშირად ცხრილს წააგავს.

საწარმოო მოუგვარებლობათა ნასვრეტებში იკარგება სამუშაო დროის ძვირფასი წუთები. სრულიად მარტივმა ზომებმა, რომლებსაც არავითარი ხარჯი არ ესაჭიროება, საშუალება მისცა ევდოკია და მარიამ ვინოგრადოვებს გადასულიყვნენ 100 დაზგის მომსახურებაზე. მათ შორს მოიტოვეს გამომუშავების ის მსოფლიო ნორმები, რომლებისთვისაც კაპიტალისტურ საწარმოებში მიუღწევიათ.

ჯერ კიდევ ბევრ სამეურნეო მუშაკს, ინჟინერს, ტექნიკოსს, ოსტატსა და მუშას ვერ გაუგია სტახანოველთა, ვინოგრადოველთა, სმეტანინელთა მოძრაობის რაობა. ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ჰგონიათ, ვინოგრადოვები, ოდინცოვა, ფომინა, სმეტანინი და სხვები ისეთი ადამიანები არიან, რომლებმაც დღეს მოახერხეს რეკორდის მიღწევა, ხვალ კი, ან 3—4 დღის შემდეგ ყველაფერი ძველებურად წავა. ამ ადამიანებს ვერ შეუგნიათ ერთი რამ: ვინოგრადოველთა მოძრაობის ძირითადი ღირებულება სწორედ ისაა, რომ ვინოგრადოველებმა, სმეტანინელებმა, რომლებმაც შრომის ნაყოფიერების მაღალ დონეს მიაღწიეს, იციან მხოლოდ ერთი მიმართულება—წინ და არასოდეს უკან. ჩვენი მაჩვენებლები შემთხვევით მოპოვებული გამარჯვება როდია, არამედ ჩვენ მიერ მიღებული და მტკიცედ შეთვისებული ხაზია, ჩვენი ბელადის მითითებათა განხორციელების მტკიცედ შეთვისებული მეთოდებია.

ამხანაგო სამეურნეო მუშაკებო! ჩვენ ანგარიშს ვუწევთ იმას, რომ საწარმოებში ვინოგრადოველთა მუშაობის მეთოდების ჩანერგვა ერთი კალმის მოსმით არ შეიძლება. ჩვენ მშვენივრად გვაქვს წარმოდგენილი, რომ საჭიროა სერიოზული, თავგამოდებული მუშაობა მომარაგების მოსაწესრიგებლად, შრომის ორგანიზაციის, ხოლო ზოგჯერ თვით ტექნოლოგიური პროცესის გარდასაქმნელად; ჩვენ გვესმის, რომ თქვენს წინაშე სდგებიან ახალი, ზოგჯერ უაღრესად სერიოზული სიძნელენი.

მაგრამ განა თქვენ, ამხანაგო სამეურნეო მუშაკებო, უკვე ყველაფერი გააკეთეთ ასორტიმენტის გასამდიდრებლად, საქონლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოწყობილობის უფრო მართებულად გამოყენებისათვის? განა პარტია ყველას არ გვასწავლის—არ შეუშინდეთ სიძნელეებს, არამედ შეუპოვრად, ბოლშევიკურად დავსძლიოთ ისინი! გაიხსენეთ ჩვენი ამაყი ბოლშევიკური დევიზი: „არ არსებობენ ისეთი ციხე-სიმაგრენი, რომელთა აღებაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ". ეს სიტყვები ნათქვამია ჩვენი დიდი მასწავლებლის—ამხანაგ სტალინის მიერ და ისინი მოწოდების ჩირაღდანივით არის ანთებული ყოველი ბოლშევიკის თვალწინ. ეს ციხესიმაგრეც აიღეთ, ამხანაგო სამეურნეო მუშაკებო.

ამხანაგო ინჟინრებო და ტექნიკოსებო! სხვაგან სად, რომელ ქვეყანაში აფასებენ ასე დიდად ტექნიკური აზროვნების გაბედულ გაქანებას, როგორც ჩვენს კავშირში? სად, რომელ ქვეყანაშია ასეთი დიდებითა და პატივისცემით გარემოცული მეცნიერება, ტექნიკა, მისი მუშაკები, როგორც ჩვენს ქვეყანაში, რომელიც მთელი მოწინავე კაცობრიობის შუქურად გადაიქცა!

მოგმართავთ თქვენ, ამხანაგო ინჟინრებო და ტექნიკოსებო! მოწოდებით—დაიწყოთ მუშაობა ისე, როგორც მუშაობენ სტახანოვები, ვინოგრადოვები, სმეტანინები. ეს ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა ისე მოაწესრიგოთ მუშათა შრომა, რომ სამუშაო დროის ყოველი წუთი მაღალი ხარისხის საქონლის დამზადებას მოვანდომოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ უნდა მოიფიქროთ სამუშაო პროცესი მთლიანად და ყოველი მისი კერძო ნაწილი, რათა მართლაც მთლიანად დავეუფლოთ მანქანებს, რათა ვაიძულოთ ისინი შეუფერხებლივ გვემსახურონ.

ამხანაგო ქარგლებო და ოსტატებო! თქვენზეა დამოკიდებული ჩვენი დაზგებისა და მანქანების მუშაობა, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების განაწილება, დამხმარე მასალისა და სათადარიგო ნაწილების დროზე მიწოდება. თქვენ ბევრად განსაზღვრავთ ჩვენს შესაძლებლობას—ვიმუშაოთ ვინოგრადოვისებური მეთოდებით. ვინოგრადოველთა კოლონები თავის რიგებში მიგელიან თქვენ. მაშინ ჩვენ დავამტკიცებთ, რომ უსაზღვროა განთავისუფლებული. სიხარულით მომუშავე და მცხოვრებ პროლეტარიატის შესაძლებლობანი. და მაშინ ჩვენთვის ახალი სპეციალური მანქანების კონსტრუირებას დაიწყებენ, მიტომ რომ ძველები მეტად სუსტი აღმოჩნდებიან.

ამხანაგებო, მსუბუქი მრეწველობის მუშებო! ვინოგრადოველთა მოძრაობა უნდა გახდეს და უკვე ხდება მასების მოძრაობად. წალეკეთ ყველა დაბრკოლება, რაც ხელს უშლის ბრძოლას შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, მსოფლიო ნორმების დაუფლებისათვის. გამოათრიეთ პარტიის სამსჯავროზე, საზოგადოებრიობის სამსჯავროზე ყველა ბიუროკრატი, კონსერვატორი, თავგასული, რომლებიც ჩაფლულან მცირე საქმეებით თვითკმაყოფილების მეშჩანურ ჭაობში, რომლებიც განზე გამდგარან პროლეტარიატის დიად მოძრაობისგან. განუხრელად აამაღლეთ ჩვენი პროდუქციის ხარისხი. ეს არის ყველაზე მტკივნეული ადგილი და აქეთ უნდა იყოს მიმართული ჩვენს ფაბრიკებში ყველა მომუშავის მთავარი ყურადღება. დაეუფლეთ ტექნიკას, დაიპყარით იგი, დეე ჩვენს ნარჯვე ხელში მანქანის ყოველი ხრახნი, ყოველი ნაწილი იძლეოდეს ყველაფერს, რისი მოცემაც კი შეუძლია.

ამხანაგებო! თქვენ მოგმართავს სფეიქრო მრეწველობის ვინოგრადოველთა შეკრება. შეხედეთ ჩვენს ქვეყანას. რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ ვიდღესასწაულებთ დიდი ოქტომბრის 18 წლისთავს. 18 წელი სრულწლოვანების თარიღია. ამ მრავალმნიშვნელოვან დღეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მოედნებსა და ქუჩებში გამოვლენ მილიონობით მშრომელნი, ლამაზ, სამხიარულო ქსოვილებში გამოწყობილნი, მილიონობით ადამიანები, რომელთაც ბედნიერი ცხოვრება უხარიათ. ეს ცხოვრება კი მოგვცა ბოლშევიკთა პარტიამ, მოვვცეს მისმა ბელადებმა—ლენინმა და სტალინმა.

ჩვენ მადლობას ვუძღვნით ჩვენს პარტიას, ჩვენს მთავრობას, მადლობას ვუძღვნით ჩვენს სტალინს ამ ბედნიერი ცხოვრებისათვის.

დეე მრავალ წელს სიცოცხლობდეს ჩვენი დიდი, ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი!

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს სოციალისტურ შრომას!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს!

(მიღებულია დამკვრელ ვინოგრადოველთა შეკრებაზე 1935 წ. 14 ოქტომბერს).

როგორი უნდა იყოს საკოლმეურნეო სოფელი?

მოსკოვი, 15 ოქტომბერი. „სელხოზსტროიპროექტმა", ს.ს.რ. კავშირის მიწსახკომის დავალებით, გამოაცხადა არქიტექტორ მხატვართა, ინჟინერ-მშენებელთა, ტექნიკოსთა და სხვ. საკავშირო კონკურსი შემდეგ თემაზე: როგორი უნდა იყოს საკოლმეურნეო სოფელი?

კონკურსის პროგრამა ორ ძირითად თემად იყოფა:

პირველი—„კოლმეურნეობის გეგმა". აქ წარმოდგენილ პროექტებში ნაჩვენები უნდა იქნას მომავალი საკოლმეურნეო სოფლის ზოგადი გეგმა, ქუჩების მდებარეობა, ცენტრალურ ნაგებობათა, საწარმოო შენობათა, კულტურულ საყოფაცხოვრებო დაწესებულებებისა და კოლმეურნეთა საცხოვრებლების განლაგება.

მეორე თემაა—„კოლმეურნის საცხოვრებელი სახლი".

კონკურსის დამთავრების ვადაა 1936 წლის იანვრის დამლევი. გადადებულია სპეციალური ფონდი—150 ათასი მანეთი საუკეთესო პროექტების ავტორთა დასაჯილდოებლად. პირველ თემაზე დაწესებულია 19 ჯილდო, ხოლო საკოლმეურნეო საცხოვრებელი სახლის საუკეთესო პროექტისათვის—50 ჯილდო (ადს).

განვამტკიცოთ ძმური ინტერნაციონალური კავშირი კულტურის ფრონტზე!

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სომხური სექციის კრება

15 ოქტომბერს მწერალთა სახახლეში შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სომხური სექციის საერთო კრება, ქართველ მწერალთა აქტივთან და ხელოვნების მუშაკებთან ერთად.

კრებამ დაამუშავა საქართველოს კ. პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი ტფილისში სომხური კულტურის სახლის შექმნის და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სომხური სექციის მუშაობის შესახებ. კრება გახსნა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. დემეტრაძემ. მან დაახასიათა ეს გადაწყვეტილებანი, როგორც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხ. ბერია ჩვენ ნაციონალურ უმცირესობათა კულტურულ საჭიროებებს.

ინფორმაციით საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესახებ გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ.-ის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილების გამგე ამხ. ბოგვაშვილი. მან აღნიშნა, თუ რა დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა აქვს ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს, რომლებიც...

მთავრობამ გადაწყვიტა გადაეცეს ეს შენობა სომხურ დრამას და ეს უკანასკნელი გადაკეთდეს „ამ კომუნარის სახელობის სომხური დრამის სახელმწიფო აკადემიურ თეატრად“ თეატრი საქართველოს განსაკუთრებით გამგეობაში იქნება. შენობის მოწყობა 1 ნოემბრისათვის მთავრდება. მიმდინარე სეზონიდან ახალი თეატრის შენობაში ექსკლუზიურში სამჯერ დაიდგმება სომხური დრამის სპექტაკლები.

კრებაზე სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. მესიანმა, დარბინიანმა, პ. იაშვილმა, ბუხნიკაშვილმა, ატრიანმა და მარჯარმა. მათ ილაპარაკეს იმ აღტაცებაზე, რომლითაც შეხვდნენ სომეხი მწერლები, დრამატურგები და ხელოვნების წარმომადგენლები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ უმნიშვნელოვანეს დადგენილებას. მათ პირობა დასდეს გაამართლონ პარტიისა და მთავრობის ყურადღება და ნდობა და მთელი ძალღონე მოახმარონ კულტურის ფრონტზე მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებას.

ამხ. ვართანიანი აქვეყნებს საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ნაცვალი ხელმძღვანელის ამხ. ბერიასათვის გასაგზავნ მისასალმებელ დეპეშას, რომელიც დამსწრეთა მქუხარე ტაშს იწვევს...

სტახანოველთა მოძრაობა ჭიათურაში

ტფილისი, „კომუნისტის“ რედაქციას

ჭიათურის მარგანეცის მაღაროების მუშები და ინჟინერ ტექნიკური პერსონალი ფართოდ გამოეხმაურნენ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. სერგო ორჯონიკიძის ბრძანებას და სტახანოვის მაგალითის მიხედვით შორს სტოვებენ მარგანეცის ამოღების ძველ ნორმებს. 14 ოქტომბერს ყაზბეგზე ურუნზეს სახელობის დივიზიის ახალის მონაწილემ, კომკავშირელმა ამხ. ვასილ სამხარაძემ მარგანეცის მოღების რეკორდი დაამყარა. 58 წუთში სამხარაძემ შეასრულა დღიური ნორმა — გამონგრია და დატვირთა 9 ტონა მარგანეცი. ცვლაში სამხარაძემ გამონგრია და დატვირთა 50 ტონა — დღიური ნორმის 555 პროცენტი. 15 ოქტომბერს ორსაათნახევარში სამხარაძემ 24 ტონა გამონგრია და დატვირთა. შექმნილია ყველა პირობა მხგრეველი სამხარაძის ნორმალური მუშაობისათვის. სამხარაძეს დანარჩენი დამკვრელებიც მიჰყვებიან.

თავდაცვის უაზ ეკელი დამკვრელები ტფილისში

ამ თვენახევრის წინათ ყაზბეგის რაიონში დაარსდა თავდაცვა-ავიაქიმის რაიონული საბჭო და 8 პირველადი ორგანიზაცია სკოლებში, კოლმეურნეობებს და ანდეზიტის საწარმოზე. ტფილისიდან საშუალოდ გაიგზავნა ახეულის პოლიტხელი ამხ. კოდუა და სასროლო საქმის ხელმძღვანელი მათი ხელმძღვანელობით დაიწყო ენერგიული მუშაობა. ყაზბეგის მშრომელი ახალგაზრდობა კომკავშირული ენტუზიაზმით ჩაება თავდაცვის ტექნიკის შესწავლაში. ამ შედეგიც: ერთი თვის განმავლობაში მომზადებულ იქნა მესამე კატეგორიის 40 ვოროშილოვსკის მსროლელი. აქედან 8 მოხევე ქალიშვილმა მიიღო „ვოროშილოვსკის მსროლელის“ ნიშანი.

წელს რაიონის ახალწვეულები სამხედრო კომისარიატმა წითელი არმიის რიგებს ჩააბარა პოლიტიკურად გათვითცნობიერებულნი და „ვოროშილოვსკის მსროლელის“ ნიშნებით. ყაზბეგის თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭომ სამხედრო კომისარიატისაგან მიიღო მადლობა თავდაცვის საქმის ტექნიკის ენერგიული დანერგვისათვის რაიონის მშრომელ მოსახლეობაში.

თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭომ განიხილა ს.-ა. საზ-ბის ცენტრალური საბჭოს მე-6 პლენუმის შედეგები და ამხ. მოლოტოვის გამოსვლა პლენუმზე. ამის შემდეგ ისინი გაორკეცებული ენერგიით დაეწაფნენ თავდაცვის ტექნიკის...

დამყარებულია 60 ახალი რეკორდი

შეჯიბრების უკანასკნელმა დღემ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ამ დღეს ჩატარდა საფინალო შეხვედრები სირბილში, ხტომასა და ტყორცნაში. მრავალრიცხოვანი მაყურებელი ტაშით შეხვდა სერაფიმ ზნამენსკის 3000 მეტრზე სირბილის სტარტზე გამოსვლას. მას გვერდში ამოუდგა ნიჭიერი ბათუმელი მორბენალი ვერჩენკო. უკანასკნელის მიზანი ხსენებულ დისტანციაზე გაეუმჯობესებინა ს.-კ. რეკორდი. ვერჩენკო კვალდაკვალ მისდევს საკავშირო ფალავანს. მორბენლებს შორის მანძილი თანდათან იზრდება, ზნამენსკი სირბილის ტემპს უმატებს და პირველი სწყვეტს საფინიშო ლენტს. წამის მრიცხველი—8:40,2 წამზე შეჩერდა...

საფინალო შეხვედრები. მთელი რიგი ს.-კ. ახალი რეკორდები დაამყარეს ჩერნოვმა (ბადრო), სერგო ამბარცუმიანმა (ჩაქუჩის ტყორცნა). უნდა აღინიშნოს, რომ ბირთვის ტყორცნაში მსოფლიო რეკორდი დამყარებული აქვს საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატს ლიახოვს. მისი შედეგია 24 მეტრი, 70 სანტ.

სერგო ამბარცუმიანმა მძლეოსნობის ამ დარგში ბევრად გაზარდა ა.-კ. რეკორდი მიაღწია რა შედეგს 23 მეტრსა და 50 სანტ.

პროგრამის საბოლოო ნომერში ჩატარდა ერთსაათიანი სირბილი, რომელშიც მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ოსტატები მალიაევი, იაფაროვი, ობლაბატოვი, ვერჩენკო, ალახვერ...

მოკიდო ხტომის საკავშირო რეკორდსმენი ოზოლინი ხტომის მომენტში

სასამართლო პიონერების გასამართლება

გურჯაანი, (ტელეფონით ხპეც. კორესპონდენტისაგან). დღეს, 16 ოქტომბერს (ადამოს 7 საათზე, გურჯაანის რკინიგზელთა კლუბის ხალხით გაჭედილ დარბაზში დაიწყო ფედიკოა მამის ვალიკო ძაძამიძის საქმის გარჩევა საჩვენებელი პროცესით.

ჯერ კიდევ სხდომა გახსნილი არ იყო, რომ კლუბის ეზოში გაისმა პიონერთა საყვირის ხმა. მთელი ეზო ივსება პიონერებით, რომლებიც წითელი დროშით მოადგნენ სხდომის დარბაზს. პიონერები შემოდიან კლუბში და იკავებენ დარბაზს.

მთელი დარბაზის ყურადღების ცენტრში არის ორი ფიგურა; პატარა ფედიკო, რომელსაც უდიდი და პატარა გარს ეხვევა. მეორე—ვალიკო ძაძამიძე, რომელიც განმარტოებით ზის. მას არავინ ელაპარაკება, მის მიმართ მთელი დარბაზი ზიზღით არის გამსჭვალული.

სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. ჩომახიძე, სახელმწიფო ბრალმდებელი...

ადამიანი სრულიად საკავშირო სპარტაკიადა ტურინი

საქართველოს სომეხ მწერალთა კრება — ამხ. ლ. ბერიას

თბილისის მეხურველების საპიონერში

მოწილვარი ტაჯიკისტანში

ტისჩილიჩ განკისტანი

ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდრო-ელსადგურის 3 წლისთავი

ზაპოროჟიე, 15 ოქტომბერი. ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდრო-ელსადგურის 3 წლისთავი...

რადიო გადაცემა 17 ოქტომბრისათვის

მუსიკალური განათლება — რადიოთი

ქრონიკა

პარტკალენდარი

ტფილისის ტრამვაის მუშა-ქალი ამხ. ალადაშვილი საბჭოთა წარმოების ...

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

რუსთაველის თეატრი 1935—36 წლ. სეზონი. სეზონის გახსნა 26 ოქტომბერს

სახჯარო ვაჭრობით გაიყიდება

სახჯარო ვაჭრობით გაიყიდება:

თეატრის და კინოს განცხადებები; განცხადებები №№ 9870–9887